ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1794844

ნომერი: AR1293721

თარიღი : 13.03.2015

გაცემის თარიღი : 20.03.2015

გაცნობის თარიღი : 20.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გაგარინის I შესახვევი , N 8ა / ქალაქი თბილისი , გაგარინის I შესახვევი , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ეგრისელაშვილი პ/ნ 01031006524
- თბილისი ვ.დარასელიას ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სახურავზე პირველი კლასის სარეკლამო მოცულობითი ასოების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, გაგარინის I შესახვევი, №8ა/გაგრინის I შესახვევი №8-ში, მოქ. ლევან ეგრისელაშვილის კუთვნილი შენობის სახურავზე პირველი კლასის სარეკლამო მოცულობითი ასოების მოწყობის შესაძლებლობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური”.

,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882014384937 24.07.2014წ. საკადასტრო კოდი №01.10.13.009.024, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების რეკვიზიტები: 15.12.2014წ. №1643435 გადაწყვეტილება) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, გაგარინის I შესახვევი, №8ა/გაგრინის I შესახვევი №8-ში, მოქ. ლევან ეგრისელაშვილის კუთვნილი შენობის სახურავზე პირველი კლასის სარეკლამო მოცულობითი ასოების მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.